572
1957

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

№ 11
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ჟურნალი მცირეწლოვანთათვის
ნოემბერი
1957

როგორ ვნახე ლენინი

(ძია ერმილეს ნაამბობი)

ალექსი ბალიაევილი

ნახატები ალ. ალუხანოვისა

— მაგ თქვენ გინდათ იცოდეთ, როგორ ვნახე პირველად ლენინი?—მიმართა ძია ერმილემ გარშემოსხეულ ბავშვებს, ეურჩნის კალათა ჩამოდგა და მტვენები ჩამოურიგა.—ახლა გაიქეცით, წვაროდან ერთი ამ დოქით ცივი წყალი მოიტანეთ, მეც ცოტას შევისვენებ და გიამბობთ.

გოგიამ დასტაცა ხელი დოქს, მეხ ციალა ჩაფრინდა, მე მოვიტანო, მაგრამ დავა ძია ერმილემ გადასწყვიტა:

— გოგია წავიდეს. დანარჩენები კი ჩამოდით, აი იქ, კაკლის ქვეშ დავსხდეთ.

— უჩემოდ არ მოვალთ ამბავს,— ეამოსძახა წვაროსანს გაქცეულმა გოგიამ.

— ჰო, კარგი, არ ვუამბობ, არა!— ღიმილით დაადგინა სიტყვა ძია ერმილემ, შემდეგ კაკლის ძირას ქვაზე ჩამოჯდა, ბავშვები კი მის გარშემო მოკალათდნენ.

— სად გაიგეთ, რომ ლენინი მინახავს?—ჰკითხა მოხუცმა ბავშვებს.

— მასწავლებელმა გვითხრა,—უპასუხა ციალამ,—მერე ჩვენ გადავწყვიტეთ თქვენთან მოსვლა.

მალე გოგიამ მოარბენინა სველი დოქით წვაროს წყალი. ძია ერმილემ კუთხით გვერდულად მოიყუდა და ხარბად დალია, მერე დოქი გაუხვა მიდგა და დაიწყო:

— ამ ორმოციოდე წლის წინათ, მენ ხარ ჩემი ბატონი,—ბატონები ახლა ადარ არიან, მაგრამ ისე ვარ ძველებურად მინდული და ნუ მიწყენთ,—ამ ორმოცი წლის წინათ მეფის ჯარში ემსახურობდი და ჰეტროგრადში ვიყავი. მერე ჩვენებმა ამ დიდებულ ქალაქს დიდი ლენინის პატივსაცემად ლენინგრადი დაარქვეს. ხომ კარგი სახელია?

7269

— შესანიშნავი!—ერთხმად უპასუხეს პიონერებმა.

— ჰოდა, პეტროგრადში ვიუავი ჯარში. გავიხედე და 1917 წლის თებერვალში მეფე ჩამოაგდეს ძირს. მოხდა ეგრეთწოდებული ბურჟუაზიული რევოლუცია და ხელისუფლებას სათავეში სულ მალე მემამულეები, თავადები და კაპიტალისტები ჩაუდგნენ. ამ დროს ჯარში დაირხა ხმა, რომ რუსეთში ბრუნდება ემიგრაციიდან მუშათა და გლეხთა პარტიის ბელადი და სულისჩამდგმელი ლენინიო. ეს ლენინი მოითხოვს, რომ შეწყდეს ომი, მიწა მიეცეს გლეხებს, ქარხნები მუშებს და ძალაუფლება კი მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოებსო.

შეგვატყობინეს, ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათს ფინეთის ვაგზალზე მოვა მატარებელი და დავხვდეთო. იგრიალა ხალხმა და აბა ჩვენ, ჯარისკაცებს რა გაგვაჩერებდა. ერთი დღით ადრე იქ ვიუავი, სულ წინა რიგებში და ვუცდიდი. მოვიხედე, გაიჭედა ხალხით იქაურობა, სულ მუშები და ჯარისკაცები ვართ. მოულოდნელად საიდანღაც მოგრიალდა ჯავშნიანი ავტომობილი. ვიფიქრე, ეს ჩვენს შესაშინებლად ან დასარბევად ხომ არ გამოუგზავნიათ-მეთქი. თურმე ბოლშევიკებს მოეუვანათ.

— ის ჯავშნოსანი ახლა ლენინის მუზეუმში დგას,—შენიშნა გოგამ.

— შენ რა იცი?—გაუკვირდათ ბავშვებს.

— ჟურნალში ვნახე დახატული.

— ჰოდა, ვდგავართ და ვუცდით. ამ დროს შეიქნა ჩოჩქოლი,—მოდის, მოდისო. გავიხედე და გაიღო რკინიგზის სადგურის კარი, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი მუშებმა და ჯარისკაცებმა ხელში აუვანილი გამოიუვანეს. ეს იუო ბელადის უდიდესი პატივისცემა მუშების მიერ. მგონია, ნამდვილად წამიგრძელდა კისერი, ვუეურებ, კარგად მინდა დავინახო. გამოიუვანეს და ერთი წუთი არ გასულა, ვხედავ, ლენინი ჯავშნოსანის კოშკზე დგას და სიტუვას ამბობს. რუსული კარგად მესმოდა და მის ეოველ სიტუვას ხარბად ვისმენდი.

— რა გითხრათ მაშინ ძია ლენინმა?—ჰკითხა ციალამ.

— გვითხრა, რომ მართალია რუსეთში რევოლუცია მოხდა, მეფე ჩამოაგდეს, მაგრამ ძალაუფლებას მემამულეები და კაპიტალისტები დაეპატრონენ, რომლებიც ცდილობენ განაგრძონ მტაცებლური ომი. მათ უნდათ, მუშათა და გლეხთა შვილების, უბრალო ჯარისკაცების სისხლით მოიპოვონ სიმდიდრე და ქო-

ნებაო; მუშების და გლეხების საქმე კი ის არის, რომ მალაუფლება გამოსტაცონ ამ ბურჟუებს და თავისი ხელისუფლება დაამყარონო.

აი, მაშინ კი მართლა აგვეხილა ყველას თვალი. დავსცხეთ ტაში და სულ „ურა“-ს ძახილით შევეგებეთ დიდი ბელადის ამ სიტყვებს. ამის შემდეგ არ გასულა დიდი დრო და ოცდახუთ ოქტომბერს მუშებმა და გლეხებმა ლენინის მეთაურობით დაამხვეს კაპიტალისტ-მემამულეთა მალაუფლება. მას შემდეგ აგერ ორმოცი წელი გავიდა და ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია მლევამოსილად მიუძღვის კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

— მია ერმილე, შენც ხომ მიიღე ოქტომბრის რევოლუციაში მონაწილეობა?—ჰკითხეს ბავშვებმა.

— როგორ არა, შვილებო, მხოლოდ მე მაშინ პეტროგრადში აღარ ვიყავი, ოქტომბრის თვეში ფრონტზე ვიმყოფებოდი. იქ რომ მოგვივიდა ამბავი, პეტროგრადში მუშებმა და გლეხებმა ლენინის მეთაურობით გადატრიალება მოახდინესო, ჩვენ მაშინვე ვიფრინეთ ჩვენი ოფიცრები და გენერლები, ავირჩიეთ ჯარისკაცთა საბჭოები და ლენინს დეპეშა გავუგზავნეთ: ფრონტის ჯარიც შენთან არის-თქო. ასე იყო, ჩემო პატარებო, ეს ამბავი,—დაასრულა თხრობა მია ერმილემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბარი წითელ ოქტომბერზე

დროებითი მთავრობა

მურმან ლებანიძე

ნახატები ალ. ვეფხვაძისა

ვაგვიგრძელდა მოთხრობა,
მაგრამ ჩავყვეთ ბოლომდის,
რადგან ბრძოლაც გრძელდება
კეთილის და ბოროტის.

...თითქოს სუყველაფერი
დასრულდა და გათავდა:
ენთო ჩაქუჩ-ნამგალი,
ოქროს სხივებს ჰფანტავდა,

იდგა ხალხის დარაჯად
საბჭოების მარჯვენა.
მაგრამ მტერიც ზრუნავდა
თავის გადასარჩენად.

მეფე, როცა მეფობდა,
ხალხის მჩაგვრელს იცავდა,
ხროვაც ხალხის მჩაგვრელთა
მეფის მზესა ჰფიცავდა.

ახლა, რაკი იხილეს
მეფე დამარცხებული,
ღერბი—დანარცხებული,
ტახტი—დანაცრებული,

საგონებელს მიეცნენ,
იფიქრეს და იღონეს,
უცნაური, მზაკვრული
ხერხი გამოიგონეს;

შეკრბა ერთად თავადი,
მღვდელი, კაპიტალისტი,
ბობოლების მთავრობა
შეადგინეს თავისთვის;

ხალხის მოსატყუებლად
„დროებითი“ უწოდეს
და თქვეს: ორი მთავრობა
რუსეთს ერთად უძღოდეს!

...აღარ ჰყეფდა არწივი
ქვეყნად ორთავიანი,
აღარ ქროდა ფრთაცივი
ძველთა დროთა ნიავი,

მაგრამ ბრძოლა წინ იყო—
ისევ ბრძოლა, ბავშვებო,—
ბრძოლა ხელისუფლების,
ხალხის ბედის გარშემო.

ხალხს სწყუროდა მშვიდობა,
ზავი, პური და მიწა;
დროებითმა მთავრობამ
ხალხს არც ერთი არ მისცა.

არა! მხარს ვერ გაშლიდა
მუშაკაცი ჩაგრული,
ვიდრე იპარპაშებდა
ის მთავრობა მზაკვრული.

---

*) გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „დილა“ № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცაზე ისევ საავდრო
ღრუბლის ფთილა მიქროდა,
დროებითი მთავრობა
ხალხის ჩაკვლას ფიქრობდა;
მაგრამ რევოლუციის
მტრებისაგან დევნილი
მალე ისევ რუსეთში
გაჩნდებოდა ლენინი.

ლენინი ჯავშნოსანზე

ჯავშნოსანი მანქანა
ბევრზე ბევრი გვინახავს,
მას კი, როგორც სახსოვარს,
ისტორია ინახავს.
ბრძენთაბრძენი ბელადის
შორს გაწვდილმა მარჯვენამ
რუსეთს მისი კოშკიდან
ოქტომბრის გზა აჩვენა.
...იდგა ცხრაას ჩვიდმეტის
სამახსოვრო აპრილი,
არ ცხრებოდა მსოფლიო
ომი ფაფარაყრილი.
პეტერბურგის ქუჩებში
მერცხლად შემოფრენილი
ხმა დაირხა იმ დილით:
„ჩამოდისო ლენინი!“
„ჩამოდისო ლენინი!“—
ქუჩამ ქუჩას ახარა;
გამოვიდა ქუჩაში
ჭაბუკი თუ ჭაღარა.
ჩაიარეს სიმღერით
მეზღვაურთა რაზმებმა,
„შეეგებოთ ლენინსო!“—
ტაში დაჰკრეს ბალღებმა.
იმ დღეს დემონსტრაციას
ბავშვთა გუნდიც არ აკლდა.
ხალხის ტალღა დროშებით
ვაგზლის კართან დალაგდა.
იქ კი, ფინურ საზღვარზე,
ზედ რუსეთის კარებთან,
ახლად დაბრუნებული
ტურუხანის მხარიდან,
დევნის, გადასახლების
და ბრძოლების მხილველი,
ლენინს შეხვდა სტალინი,
შეეგება პირველი.
როგორც თანამოსაგრე,
ლხინშიც, ჭირშიც მხლებელი,
მოჰყვა ლენინს სტალინი,
შედგა მატარებელი...
ატყდა ტაში, იმედის
ლამპრად გადაქცეული
ჩაატარეს ილიჩი
ხელში ატაცებული.
—ლენინ!—იდგა გრიალი,
—ლენინ!—იყო ძახილი,
—ლენინ!—ირგვლივ ისმოდა
ერთადერთი სახელი...
ხოლო დიდი ბელადი,
ვით სარდალი მედგარი,
ხალხის ზღვას დაჰყურებდა
ჯავშნოსანზე შემდგარი.
მხოლოდ მისი სჯეროდა
ხალხის ზღვას და ქარიშხალს,
უცებ ხელი ასწია,
დაწყნარდითო, ანიშნა.
დღეს იმ სიტყვას მოხუცი
მეომრები ჰყვებიან,—
არც ვის ჩაუწერია,
არც ვის დავიწყებია,
კვლავაც გადაეცემა
იგი შთამომავლობას:
—ძირსო,—სჭექდა ბელადი,—
დროებითი მთავრობა!—
ნაპერწკლიდან აღმდგარმა
ალმა ზეცას უწია:
—ვაშა სოციალისტურ
დიად რევოლუციას!—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინის დანთებული
ქროდა ცეცხლი მედგარი,
ხალხს უხმობდა ბელადი
ჯავშნოსანზე შემდგარი.
...პატარა ჯავშნოსანო,
ეს რა ბედი გქონია!

ქვეყნად რკინის მანქანა
ბევრი გაგვიგონია,
შენ კი სხვა ხარ—ილიჩის
შორს გაწვდილმა მარჯვენამ
რუსეთს შენი კოშკიდან
ოქტომბრის გზა აჩვენა.

წითელი ოქტომბერი

აპრილიდან ოქტომბრის
სამახსოვრო დილამდე
ლენინის დარაზმული
არწივები გრგვინავდნენ.
აპრილიდან ოქტომბრის
წითელ განთიადამდე
პარტიის მოწოდებას
მთელ რუსეთში ჰფანტავდნენ.
და ჰა, დიდმა ბელადმა,
წინამძღვარმა არწივთა,
ყველაფერი ასწონა,
ყველაფერი განჭვრიტა
და თქვა:
—ხვედრი ჯალათის
გარდუვალი მარცხია,
ოცდახუთში ავჯანყდეთ,
არც ადრე და
არც გვიან!..
მიაშურა ილიჩმა
წინ დღით სმოლნის სასახლეს;
„შენთან ვართო, ბელადო!“—
მეომრებმა დასძახეს.
ხალხი დღესაც იგონებს
გმირებს მადლიერებით:
შეკრბნენ პუტილოველი
წითელგვარდიელები,
ვით ერთგული მცველები
სმოლნში გაჩნდნენ ბელადთან
ო, ის ღამე სხვა იყო,
სხვა დიდებით ელავდა.
პეტროგრადის ქუჩებში
ხიშტითა და შაშხანით
დადგა რევოლუციის
წარბშეკრული ლაშქარი.
აქეთ სმოლნში—ლენინი,
იქით—ზამთრის სასახლე,
დროებითი მთავრობა
სადაც თრთის და ცახცახებს.
ო, ის ღამე სხვა იყო,
სხვა დიდებით ელავდა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადამწყვეტი ბრძოლისთვის
ძლევის მახვილს ფერავდა.
...ცა შეთეთრდა, დაჰბერა
გათენების ნიავმა,
უცებ ზეცა გაჰკვეთა
შორს „ავრორას“ გრიალმა.
ფეხზე ადგა ილიჩი,
ფეხზე ადგნენ გმირები—
მისი საქმით, ბრძოლებით,
აზრით გამოზრდილები.
გაჰლიმოდნენ სმოლნიდან
დიად წითელ განთიადს;
გუგუნებდა „ავრორა“
და წითელი გვარდია.
აუწყებდა „ავრორა“
გრგვინვით ქვეყნიერებას:
ახალ დროთა დაწყებას,
ხალხის ბედნიერებას...
იქ კი, ზამთრის სასახლის
ბჭესთან ბრძოლა გაჩაღდა,
შეიპყრო და გათოკა
ხალხმა ხროვა ყაჩაღთა.
ხოლო რევოლუციის
შტაბში, მამა ლენინთან,
ყველა ერთად შეერთდა,
ყველა ერთად შენივთდა,
იწყებოდა დიადი
საბჭოების ყრილობა—
ხალხის თავისუფლება,
ხალხის მხარგაშლილობა.
იწყებოდა ახალი
გზა დიდებით ფენილი—
ხალხის ძალაუფლებას
აცხადებდა ლენინი.

***

დავასრულეთ მოთხრობა
უკვე დიდი ბრძოლების
და ჰა, ახლა პარადზე
მიიჩქარით სწორები.
ბრწყინავს ჩვენი ქვეყანა,
ჩვენი მზე და ჩვენი ცა,
ესალმები ოქტომბრის
მეორმოცე წელიწადს.
ქუჩა მოფარდაგულა
საოქტომბრო ფარჩებით,
მოაბიჯებთ სიმღერით
ბედნიერი ბავშვები.
გამარჯვების დროშები
ვისი ღვაწლით ანთია,
რას ზეიმობს მამული—
ახლა შენთვის ცხადია.
ბრწყინავს დაბა-სოფელი,
ჯეჯილები ღაღანებს,
ყველაფერი გამხნევებს,
ყველაფერი გახარებს.
მამებისგან გაწალდულ
გზაზე ვარდი გფენია,
გიხაროდეს, პატარავ,
ყველაფერი შენია!
მაგრამ წავლენ დღეები,
ყრმობის ასაკს გასცდები,
ამაგს გმირთა მამათა
უფრო მეტად ჩასწვდები;
მეტად დაგაოცნებებს,
მეტად აღგაფრთოვანებს...
მაშინ არ დაგავიწყდეს,
რომ შენცა ხარ მოვალე,
იყო ღირსი მამათა
იმ დიადი ბრძოლების,
იყო მცველი ოქტომბრის
დიდი მონაპოვრების.
ხედავ, ბრწყინავს პარადი,
ჩვენი მზე და ჩვენი ცა...
მიესალმე ოქტომბრის
დიად ორმოცე წელიწადს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. კონონოვი ნახატი ქ. მახარაძისა

წითელი მანქანა

მინდორზე წითელი მანქანა მიქროდა. შიგ მძღოლი და ჩაპაევი ისხდნენ. ჩაპაევი მანქანის ძარიდან გადმოწოლილიყო და მიდამოს ათვალიერებდა. მის უკან ლულაშებრუნებული ტყვიამფრქვევი იდგა.

ირგვლივ მზისაგან გადახრუკული ველები გაჭიმულიყო, შორს სამრეკლო მოჩანდა.

მძღოლმა მანქანა უფრო სწრაფად წაიყვანა.

— აი, მალე მივალთ და ჩაისაც დავლევთ,—უთხრა ჩაპაევმა.

მძღოლმა თავი ასწია და მხიარულად ჩაილაპარაკა:

— ახლა ჩაის დალევა ცუდი არ იქნებოდა, ამხანაგო ჩაპაევო!

მალე სოფლის ქოხები გამოჩნდა. ერთი წუთიც და მანქანა ორღობეში მიქროდა. ეზოებში ამწვანებული ბოსტნები, ლასტის ღობეები და ყვითელი მზესუმზირები მოჩანდა; მანქანის უკან მტვრის კორიანტელი ადიოდა. მძღოლმა მანქანა საყდრის მახლობლად გააჩერა. ჩაპაევი წამოდგა.

— თვალი დაიჭირე, ბიჭები ზარბაზანთან არ მიუშვა,—ანიშნა მან ტყვიამფრქვევზე.

ქუჩაში ვიღაც ქალი გამოჩნდა.

— სად არის აქ სოფლის საბჭო?— შეეკითხა მას ჩაპაევი. ქალმა შიშით ხელი ჩაიქნია და მიიმალა. ჩაპაევმა მიმოიხედა და მიხვდა, საქმე კარგად არ იყო. საყდართან ვიღაც ჯინჯილებიანი კაცი იდგა და მანქანას აკვირდებოდა. მისი გამოცნობა ძნელი არ იყო, — ის თეთრგვარდიელი ოფიცერი გახლდათ. მან ქამარზე დაკიდებული ტყვავის ჩანთა გახსნა და ნაგანი ამოიღო. ამ დროს მოსახვევიდან სამი ჯარისკაცი გამოჩნდა.

— აბა, ამხანაგო,—ჩაულაპარაკა ჩაპაევმა მძღოლს, — მანქანა აამუშავე, სოფელში თეთრები არიან.

მძღოლი შეეცადა სწრაფად მოემართა ჯერ კიდევ თბილი ძრავი. ჩაპაევმა კი ერთი მოქნევით ტყვიამფრქვევის ლულა შეატრიალა და საყდრის კარს დაუმიზნა. მძღოლი მთელი ძალ-ღონით ატრიალებდა ძრავის სახელურს.

—დავიღუპეთ, ვერ მოასწრებ მომართვას,—უთხრა ჩაპაევმა. ამ დროს საყდართან, სადაც ოფიცერი იდგა, რევოლვერის სროლა გაისმა. ტყვიამ მძღოლს ყურთან გაუზუზუნა, მაგრამ მან უკვე მომართა ძრავი, შეხტა კაბინაში და მანქანაც სწრაფად მოსწყდა ადგილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახლა უკვე ყოველი მხრიდან მორბოდნენ თეთრები, მაგრამ მალე შეჩერდნენ. მანქანამ რომ შეუხვია, ჩაპაევმა ტყვიამფრქვევიდან სროლა ატეხა და ტყვიები მთელ ქუჩაზე ნახევარწრედ დაეფინა.

სოფლის ბოლოში თეთრგვარდიელი ცხენოსნები გამოჩნდნენ. ისინი ცხენებს გამალებით მოაჭენებდნენ.

ოღროჩოღროებზე მანქანა რახრახით მიქროდა, ჩაპაევი ტყვიამფრქვევს მიჰკროდა და შეუჩერებლივ ისროდა.

აი, გაიელვეს მწვანე ბოსტნებმა, ძველმა ღობეებმა. ველზე გავიდნენ. გამხმარი აბზინდის სუნი დატრიალდა... თეთრები ისევ მოსდევდნენ უკან.

მძღოლს თავი საჭესთან წაეხარა და გახედვისა ეშინოდა. ყოველ წუთს ელოდა, რომ ტყვია მანქანის თვლებზე რეზინის სალტეს გახვრეტდა და მერე კი მორჩა...

უცბად ჩაპაევის ტყვიამფრქვევის კაკანი შეწყდა. მძღოლს შემოესმა ჩაპაევის ოდნავ ჩახლეჩილი ხმა:

— ტყვიები გათავდა!..

მანქანა უკვე შუა ველზე იყო. თეთრგვარდიელი მხედრები მიხვდნენ, რომ ვერ დაეწეოდნენ მანქანას, და დახოცილებისა და დაჭრილების ასაკრებად გაბრუნდნენ.

— აი, ჩაიც დავლიეთ!—გაეცინა ჩაპაევს.

მძღოლმა ვერ გაიგო, რადგან მანქანა ისე გამალებით მიჰყავდა, რომ ქარს ყურებში ზუილი გაჰქონდა.

მაგრამ როცა მანქანამ სვლას უკლო, მძღოლს სიმღერა შემოესმა.

მძღოლმა უკან მიიხედა. ჩაპაევს ხელისგული ტყვიამფრქვევის ცხელ ლულაზე დაედო, ლურჯი თვალები მოეჭუტა და გატაცებით მღეროდა.

თარგმანი **ე. სიბაშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძილის-

გუდა

კარლო კალაძე ნახატები რ. ცუცქირიძისა

მზე რომ ცაში თავს ამოჰყოფს
თავის ასი ათას სხივით,
ერთი სხივი ფანჯარაში
მინას გასჭრის აღმასივით!
უხარიათ ბავშვებს: „ვაშა
დიღის შუქს და ნათელსაო,
სანავარდო ველი გვიცდის
და მდინარე სათევზაო!“
ყველა ფეხზე წამოხტება,
აღარავის უნდა ძილი,
და საწოლში მხოლოდ ერთი
ჭუტა რჩება გაშოტილი.
თვალს აუხელს მკვირცხლი დილა
გოგო-ბიჭებს, თითო-თითოს,—
ის კი საბანს წაიხურავს,
მზემ რომ აღარ გააღვიძოს...
რა სიცოცხლით სავსე ღლეა,
საამო და სახარხარო,
ანკესები გაამზადეს,
ეძახიან: „სადა ხარო?“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ჭუტა, ჭუტა, ძიღისგუდა,
გააჭყიტე, ბიჭო, თვაღი,
წამოფრინდი ფეხზე, თორემ
მოდის დიდი ჭიქა წყაღი!“
მაგრამ თვაღებმიჭუტული
ჭუტა ბაღიშს ჩაეხუტა,
ნეტავ თვითონ დაინახოს,
როგორ სუნთქავს, როგორც გუდა!
რომ აცაღონ, აქ დიღიდან
საღამომდე ეძინება.
— რა ვქნათ, იცით?—იტყვის გია
და თვითონვე ეცინება.

7269

„ჭუტა, ჭუტა, ძიღისგუდა,
დააჭყიტე, ბიჭო, თვაღი!“
გაეღვიძა უცებ ჭუტას,
მაგრამ ვაი მისი ბრაღი.
მოუღოდნეღ განცვიფრებით
დაღებული დარჩა ხახა,
როცა ძიღით გაბერიღი
ძიღისგუდა დაინახა.
ონავრების ბასრი მზერა
თავს როგორღა აიციღოს!
ჩაცუცქული უცქერიან
სურათივით სასაციღოს...
არაფერი უთქვამს, უცბად
მიხვდა იმათ ოინს ჭუტა.
და გიასაც გაეცინა
და ის გუდაც დაიჩუტა.
იმავ წუთში თვით ამბავიც
გაქრა რბენა-ყრიამუღში,
ღღეს არავის აღარ ახსოვს,
მაგრამ ჭუტას ჩარჩა გუღში!
და მზის პირვეღ შემოხვედვას
ფეხზე დგომით ხვდება მუდამ,
რომ საწოღში არასოდეს
არ მოუსწროს ძიღისგუდამ!

წასჩურჩულა ყურში ბიჭებს
და ბიჭებმაც გაუგონეს:
გამონახეს დიდი გუდა
და ღოგინში ჩაუგორეს!
ეჰ, რა იყო, რა ოინი,
სასწაული მოხდა სრული,—
გუდას მოკღე ხეღფეხიანს
რომ ჩაჰბერა გიამ სული!
ძიღისგუდა მუცეღივით,
ისე მძიმედ იბერება,
რომ ჩუმ-ჩუმად ზოგმა კიდეც
სცადა ღექსის მიმღერება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმთან

მ. თომაძე

ნახატი გ. როინიშვილისა

გულის ფანცქალით ადიოდა კობა კიბეებზე. ხელში სუფთა ცხვირსახოცი ეჭირა და ხანდახან ლოყაზე ისვამდა.

— ძალიან მეტკინება? ექიმებმა მაგრად იციან კბილის ამოღება?—ვინ იცის მერამდენედ ეკითხებოდა დედას.

კიბეზე მისი ტოლი ბიჭი ჩამოდიოდა. მასაც ცხვირსახოცი ეჭირა ხელში და ლოყაზე ისვამდა.

— რამდენ ხანს მაწვალა, ძლივს ამომაძრო, და მაინც არ ვიტირე,—უამბობდა იგი მამას.

—ტრაბახობს,—გაიფიქრა კობამ. მაგრამ ბიჭის სახეს რომ შეხედა, ცოტა იმედი მაინც მიეცა.

არც ისე ძნელი ყოფილა ექიმთან კბილის ამოძრობა, — თვითონვე დაიმშვიდა გული. წინა კბილები სულ დიდედამ დააძრო. ძაფს მაგრად ჩააბამდა და ეტყოდა: აბა, დააღე პირი, თუ ვაჟკაცი ხარო. კობა ოდნავ აღებდა პირს, მერე უცბად მოკუმავდა, თანაც ზედ ხელს მიიდებდა.

— იკვეხნი, ამირანი ვარო, ყარამანი ვარო, და ერთი ბეწო კბილის ამოღებაზე კი ფოთოლივით ცახცახებ, — იცინოდა ხოლმე დიდედა.

მაშინ მართლაც ძალიან პატარა იყო კობა. ამიტომ ეშინოდა. ახლა უკვე დიდია, მალე სკოლაში წავა, და მაინც თითქოს კიდევ ეშინია.

— მეხუთე ნომერი მოვიდეს ჩემთან,—დაიძახა თმაჭაღარა ექიმმა.

— ეს შენა ხარ, კობა, მეხუთე ნომერი,—უთხრა დედამ.

კობა შიგნით შეიყვანეს. დედა გარეთ დარჩა. კარები რომ მიიხურა, კობას ასე ეგონა, თითქოს მთელი ქვეყანა დაცარიელდა და მარტო ისა და მოხუცი ექიმი დარჩნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხომ არ გეშინია?—გაუცინა ექიმმა.

— არა,—უპასუხა კობამ.

— ყოჩაღი ბიჭი ხარ?—ისევ ჰკითხა ექიმმა.

— არ ვიცი,—აიჩეჩა მხრები კობამ.

— აბა, პირი დააღე!

კობამ მორჩილად დააღო პირი.

— ოჰო, როგორ ქვევრივით არის ამოხრული!

— უნდა ამომიღოთ? — შემკრთალი ხმით ჰკითხა კობამ და წამოდგომა დააპირა.

— არა,—გაიცინა ექიმმა,—მე არ მიყვარს, როცა ბავშვებს კბილს ულებენ. წითელი წამალი უნდა წაგისვა. აი, შეხედე, — და პატარა მაგიდისაკენ გაიშვირა ხელი.

მაგიდაზე ჩაის ჭიქაში ლალისფრად კამკამებდა წითელი წამალი. კობას გულზე მოეშვა.

წითელი ყველაფერი კარგია: წითელი ვაშლი, წითელი ბურთი, წითელი ვარსკვლავი, წითელი დროშა... წითელი წამალიც უთუოდ კარგი იქნება. არ ეტკინება, წაუსვას, რამდენიც უნდა, — და კობამ პირი დააღო.

— კარგი ბიჭი ყოფილხარ,—უთხრა ექიმმა, — ერთხელ კარგად მოვუსვამ და არასოდეს არ გეტკინება.

კობამ ამოსუნთქვაც კი ვერ მოასწრო, რომ ექიმი ჭიანაჭამ, დაფუღუროებულ კბილს ჰაერში ატრიალებდა.

— აჰა, მორჩა, სულ ეს იყო!—გადაუსვა მან თავზე ხელი კობას.—ახლა ჭიქა აიღე და პირში წითელი წამალი გამოივლე.

— რა ადვილი ყოფილა კბილის ამოძრობა! მე კი მეშინოდა!—და კობამ წითელი წამალი ერთხელ კიდევ კარგად გამოივლო პირში.

თუზარი

ხარიტონ პლიევი

ვაშლის ბაღთან მიდის ბავშვი,
ხეზე რჩება თვალი.
ნატრობს: «მომცა მე ის ვაშლი,
ოთხად-ოთხი ცალი!»
სულ მთლად წითლად
დახუნძლული
ვაშლი ღვივის მზეზე.
ვეღარ უთმენს თუზარს გული,
გადაევლო მესერს,
მიცუნცულდა მალვით ხესთან,
ზედ მოექცა უცებ.
ხომ არავინ არ უცქერდა?—
შიშით გული უცემს.
...მაგრამ როცა ავსილ უბით
ღობეს მიაშურა,
სწორედ მაშინ ვაშლის ქურდი
შეამჩნია მურამ.

ზედ ღობეზე მისწვდა შფოთით
ბიჭს, ატანილს შიშით
და თუზარის შარვლის ტოტი
მურას შერჩა პირში.
უკან ჩახტა... მაგრამ ბედშავს
ეს რა დაემართა?
ახლა ღობის მარგილს შერჩა
ზედ ხალათის კალთა.
ნაპარავი ვაშლი ყრია
მტვრით დაფარულ გზაზე...
თან ტოლები დასცინიან:
«ახიაო მასზე!»
დედას როგორ დაენახოს,
სად გაექცეს სირცხვილს,
სოფელს, ვაშლის ქურდის სახელს
და ტოლების სიცილს?

ოსურიდან თარგმნა
მარიკა ბარათაშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ჩიგაიშვილი

იოველის თავგადასავალი

ნახატები გ. ფოცხიშვილისა

ცელქი ბიჭია იოველი, თან დედის ისეთი მოსიყვარულე, რომ გულით ცდილობს რაიმე საქმით ასიამოვნოს, მაგრამ ყოველთვის როდი ახერხებს ხოლმე.

ერთხელ, ნასადილევს, ჭიშკართან კოლმეურნეებით სავსე მანქანა გაჩერდა; დედამისი სამუშაოზე გაიხმეს სასწრაფოდ.

იოველი დაედევნა.

— დედა, მე რა გავაკეთო შინ?

— აი, წნელი, ბოსტნის ღობე ალაგ-ალაგ გარღვეულია, გამოღობე, ქათმები ველარ შევლენ შიგ და ბოსტნეული გადაგვირჩება.

იოველმა წნელები მოიმარჯვა, მაგრამ დედა რომ წავიდა, წნელები ისევ ძირს დაყარა. „ჯერ თეფშებს დავრეცხავ, დედას უფრო გაუხარდებაო“, თქვა და უკვე წყაროზე ჩარბოდა გასარეცხი თეფშებით. მაგრამ ბილიკზე ფეხი დაუცურდა, წაიქცა და თეფშები ხელიდან გაუვარდა. ერთი-ორი დაემტვრა.

წარმოიდგინა, როგორ არ ესიამოვნებოდა დედას ეს ამბავი... ნამსხვრევებს შეკოწიწება დაუწყო, მაგრამ, აბა, რას გაამთელებდა?! და დანარჩენი თეფშები აკრიფა.

გზა რომ განაგრძო, ფეხებში ფრთხიალით აუფრინდა ჩიტი, რომელმაც ორ ნაბიჯზე ძლივს შეძლო გაფრენა და ისევ ბალახებში ჩაეცა ნაფოტივით.

— არიქა, ბარტყი!—შესძახა სიხარულით და თეფშები ძირს დაყარა. გამოუდგა დასაჭერად, მაგრამ ბარტყი არც ისეთი უსუსური გამოდგა, როგორც მას მოეჩვენა. მთელი მინდორი შემოარბენინა. ბოლოს, როგორც იქნა, დაიჭირა.

საცოდავ ბარტყს გული ისე უცემდა, აგერ-აგერ გაუსკდებაო. შეებრალა, მაგრამ გასაშვებად მაინც ვერ გაიმეტა და ალერსი დაუწყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბარტყი თითქოს დამშვიდდა. იოველს ეგონა, უკვე შემეჩვიაო, და შეუშვა ხელი. ბარტყმა იგრძნო თუ არა თავისუფლება, მოწყდა ხელისგულს უცებ და ფრთხიალით გაფრინდა.

რაღას იზამდა? გულდაწყვეტილი ბიჭი მობრუნდა თავის თეფშებისაკენ. თეფშებს კი ამ დროს... ვეებერთელა რქებიანი ძროხა ყნოსავდა.

უფრო უარესი: ქვები რომ აკრიფა და უნდოდა ძროხისთვის დაეშინა, თვალი მოჰკრა ცაში ავარდნილ ცეცხლის ალს. „ვაიმე, ჩვენი სახლი იწვის!“ — შეჰყვირა და, რაც ძალა ჰქონდა, მოჰკურცხლა.

გზაზე პატარა გუბე იყო, ღორებს ის შავი ლაფის აბაზანად ჰქონდათ გადაქცეული. დროზე ვერ დაინახა, შეტოპა შიგ, წაიქცა და ჩურჩხელასავით ამოევლო.

ჩვენი სუფთა ბიჭი უცებ ზანგად გადაიქცა.

როგორც კი ორღობეში შეუხვია, ძაღლებმა ყეფა ატეხეს. ეს რა საშინელი ურჩხული მოგვევლინაო.

იოველი მათი გულის მოსაგებად წრუპუნს და ძახილს მოჰყვა: „ყურშა, ყურშა!“ „მურია, მურია!“ მაგრამ ისინი უფრო გაავდნენ და ღობეს გადმოევლენ.

იოველი ახლა კი მართლა ჩავარდა დიდ გასაჭირში, მაგრამ სირბილი მარდი იცოდა, შეასწრო თავის ეზოში და ჭიშკარი მაგრად მიხურა.

ძაღლები გაბრუნდნენ.

იოველმა შვებით ამოისუნთქა.

სახლი ისევ თავის ადგილზე იდგა; ცეცხლი კი მეზობლის ეზოში მოქუჩებულ ბზესა და ბურბუშელას ასდიოდა.

მაგრამ ბოსტანში რომ გადაიხედა და ბოსტანი ქათმების მიერ სულ გადაჭმული დახვდა, ისეთი ტირილი გააბა, რომ სამუშაოდან დაბრუნებულმა დედამ ძლივს დაამშვიდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერი ბოლქვაძე ნახატები გ. თოთიბაძისა

პირველკლასელი

დათო პირველკლასელია.—ახალ მერხზე ზის, ჩანთაც ახალი აქვს, კალამიც, ფანქარიც. კლასის შუაგულიდან კი ჩუმად იყურება შავი, კრიალა დაფა, თითქოს ამბობს: „აბა თქვენ იცით, არ შემარცხვინოთ, შეცდომებით და დაგრეხილი ასოებით არ ამაჭრელოთო!“

ყველა გაკვეთილმა მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ მესამე გაკვეთილზე დათოს მოშივდა: მერხიდან ჩანთა გამოიღო, გახსნა, ყველი და პური ამოიღო და ჭამას შეუდგა.

ყველა გაკვირვებით მიაჩერდა: მოსწავლეები, მასწავლებელი. ფანჯარაში ჩიტმაც შემოიხედა, ის კი არა, დათოს ეგონა, დაფაც გაკვირვებული უყურებდა.

— გაკვეთილზე საუზმობა არ შეიძლება!— შენიშნა მასწავლებელმა.

— არ შეიძლება? — გაუკვირდა დათოს, — კარგი, მაშ მხოლოდ „ჩიტებს“ დავამზადებ, დასვენებაზე კი შევჭამ!

მოსწავლეებმა გაიცინეს.

— ეგ რაღა ჩიტები არის!—ჰკითხა მასწავლებელმა.

დათომ პური პატარა ნატეხებად დაამტვრია, ზედ ყველის ნამცეცები დაალაგა:

— აი, ესენია, ამათ ჰქვია „ჩიტები!“

— აი, თურმე რა ეოფილა!—თქვა მასწავლებელმა, — ვინ გასწავლა ჩიტების დამზადება?

— დედამ!—სწრაფად უპასუხა დათომ.

— მერე დედამ არ გითხრა, რომ ასეთი ჩიტების დამზადება გაკვეთილზე არ შეიძლება?

დათო შეწუხდა:

— არა, მასწავლებელო, არ უთქვამს.

— უთუოდ დაავიწყდა, ან ვერ მოასწრო თქმა,—შენიშნა მასწავლებელმა.

დათო დაჯდა, „ჩიტები“ ქაღალდში გაახვია და მერხში შეინახა.

ზარი დაირეკა. გაკვეთილები დამთავრდა.

„აბა სახლისაკენ, დედას ახალი ამბები ვუამბოთ, „ჩიტებზედაც“ ვუთხრათ!“

ფეხები კურდღლებივით მისტიან, ჩანთა მხიარული ციყვივით ხტის ზურგზე.

— ჩქარა-ჩქარა!—ჭიკჭიკებენ ნამდვილი ჩიტები.

— ჩიტიჭამია, ჩიტიჭამიაააა!

ვინ ეძახის დათოს ჩიტიჭამიას? — ეს ხომ ვანოა, მისი ამხანაგი.

აბეზარი!—გული მოსდის დათოს.

— შენ ეი,—ემუქრება,—ჩუმად იყავი, თორემ...

— თორემ რა?—წინ დაუდგა ვანო.

— რაა და... აი, ამას ხომ უყურებ: ეს შოთი!— დათომ მომუჭული ხელი აჩვენა,—ეს კიდევ,— მეორე გაშლილი ხელი დაანახვა,—ლავაში!

— ეგ ორივე შენ მოგხვდება!

— მე მომხვდება? აბა ვნახოთ!

ბიჭები წაიმიგლავდნენ. გოგოებს შეეშინდათ და გაიქცნენ;

ჩიტებმა კი დაიჭიკჭიკეს:

— ბიჭებო, ნუ ჩხუბობთ!

— აბა, აბა, რა ამბავია, პირველკლასელებო? რატომ ჩხუბობთ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიჭებმა ხელი უშვეს ერთმანეთს. მათ წინ პიონერი გოგონა იდგა, ნამდვილი პიონერი, წითელყელსახვევიანი!

დათომ ახედ-დახედა წითელ ყელსახვევს და გაიფიქრა: „უჰ, შენი გულისა! ნეტავ მე როდისღა მექნება?“ მერე ჩაფიქრებული გაძუნძულდა სახლისაკენ: „კიდევ თუ ვიჩხუბე, ყელსახვევს აღარ მომცემენ!“

ფეხები აღარ მიხტიან კურდღლებივით, აღარც ჩანთა ხტის ზურგზე მხიარული ცეკვივით.

— დათო, ნუ მოგიწყენია, შენც გახდები

პიონერი, შენც მოგცემენ წითელ ყელსახვევს!— ჩამოსძახიან ჩიტები.

როდის, როდის მომცემენ?

ჯერ პატარა ხარო, ჯერ გაიზარდეო.

აი, სახლიც.

„მე თვითონ ვიშოვი!“ სახე გაუბრწყინდა უცებ დათოს.

ვიშოვი, ვიშოვი!

დათომ წინანდებურად, დათვლით აღარ აირბინა სახლის კიბეები, ახლა მაგისთვის სადღა სცალოდა! ჩანთაც ტახტის კუთხეში მიაგდო, ხელები სასწრაფოდ დაიბანა, თავისი დის თინას წითელი ყელსახვევი ამოიღო, ყელზე მაგრად გამოინასკვა და მაგიდას მიუჯდა სადილად.

— ვინ გითხრა, ეგ ყელსახვევი გაიკეთეო?— ჰკითხა ბებომ.

— ვინ გვითხრა და მასწავლებელმა, მარტო მე კი არა, ყველას. გვითხრა!—იცრუა დათომ, ბებოს თვალებში არ შეხედა, დაიხარა და ჩუმად შეუდგა წვენის ხვრეპას.

— ჰო, რახან ასეა, აბა რა მეთქმის,—განაგრძო ბებომ,—ოღონდ შენ ეს მითხარი, ხომ გაგაფრთხილეს, რომ პიონერმა არ შეიძლება იცრუოს?!

დათოს ლუკმა ყელში გაეჩხირა. ჩაახველა: ერთხელ, ორჯერ...

— ნელა, არ დაიხრჩო!— ურჩია ბებომ.

დათო ადგა:

— ყელსახვევი მიჯერს, ბებო, გამიხსენი, ლუკმა იმიტომ ვერ ჩავულაპე.

ბებოს გაეცინა:

— ჰო, მაგას მეც მივხვდი; როცა დრო იქნება, მაშინ აღარ მოგიჯერს!

ყდის მხატვრობა ეკუთვნის ალ. ვეფხვაძეს

მაკეტი შ. შონიასი

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემის ოცდამეათე წელი

ფასი 2 მან.

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии № 11, ноябрь. 1957 г. Тбилиси, Просп. Плеханова 91.

საბლიტგამი, რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. 91, ტელ. 3-37-38. გამომც. შეკვ. № 458, სტამბის შეკვ. № 1723

ტირაჟი 18000 უე 01296 ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/IX 1957 წ. ჟურნალი დაბეჭდილია ლითო-ოფსეტურ ბეჭდვის ფაბრიკაში

6.181/220

ნახატი
ნინო ბრაილაშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძველებური სათამაშოები

თქვენ აქ ხედავთ ძველებურ თოჯინებს. ისინი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება. იქ კიდევ მრავალი სათამაშოა შეკრებილი, მათ მეტ წილად თვით ბავშვები აკეთებდნენ.

ალბათ გაგაკვირვებთ თოჯინას სახე, რომელსაც ცხვირისა და თვალების ნაცვლად ჯვარედინი ძაფები აქვს გადავლებული. უძველეს დროში მზეს სწორედ ამგვარად ხატავდნენ ჩვენი წინაპრები. ეს სხივისებური ხაზები ბავშვებმა ბოლო დრომდე შემოინახეს თოჯინების სახეზე.

შეხეთ, რა ცოტა მასალაა საჭირო თოჯინების გასაკეთებლად: ჩხირები, ფერადი ძაფები და ერთი ღილი.